ქართველი მხატვრები 1920-ანი წლების პარიზში

მოამზადა თათია ბარბაქაძემ

სამუშაო ფურცლები

დავალება N2-ის ინსტრუქცია: გაეცანით 1920 წლის საგაზეთო სტატიას. ტექსტის გაცნობისას, განსახილველად, მონიშნეთ, თქვენთვის გაუგებარი, ნაცნობი და საინტერესო ადგილები. სტატიის წაკითხვის შემდეგ შეასრულეთ წერითი დავალება და შექმენით ნამუშევარი.

ხელოვნება პარიზში

რამდენიმე კვირის წინ პარიზიდან დაბრუნდა საქართველოს დელეგაციისა და დამფუძნებელი კრების წევრი იოსებ გობეჩია, რომელსაც დელეგაციის მიერ მინდობილი ჰქონდა საზღვარგარეთ გაგზავნილი სტუდენტების ინსტრუქტორობა. იოსებ გობეჩია წერს: „ჩვენი მხატვრები - გუდიაშვილი, ქიქოძე და კაკაბაძე ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ენერგიულ მუშაობას და შეეცადნენ, მიეღოთ მაქსიმუმი იმ ცოდნისა, რაც შეუძლია მხატვარმა პარიზში მიიღოს. რამდენიმე თვის შემდეგ, მხატვარმა ქიქოძემ უკვე იშოვნა სტუდია და დაიწყო მუშაობა. დახატული აქვს მრავალი პორტრეტი და სურათი, რომელიც პარიზში ცხოვრებას ასახავს. გუდიაშვილმა სტუდიის შოვნა ვერ მოახერხა. ერთი ოთახი აქვს და იქ ბევრს მუშაობს. მის სურათებზეც პარიზის ცხოვრებაა აღბეჭდილი, მაგრამ გუდიაშვილის მანერა სულ სხვანაირია. ამ მხრივ, მისი ტილოები დიდად საინტერესოა. კაკაბაძის ნახატების დათვალიერება ვეღარ მოვახერხე, მხოლოდ უნდა ვთქვა, რომ ის მეტად სერიოზულად ეკიდება თავის საქმეს. ამ ბოლო დროს, მათში დაიბადა აზრი საკუთარი გამოფენის მოწყობისა. ამ აზრზეა გუდიაშვილი. დანარჩენები მეტად სკეპტიკურად უყურებენ, მაგრამ მგონია გამოფენის მოწყობას შეძლებენ. სამივე მხატვარი მოწადინებულია მალე დაბრუნდეს სამშობლოში. ამიტომ მათ მიმართეს ჩვენს დელეგაციას, რომ გაედიდებინათ თვიური სარგო 1000 ფრანკამდე, ვინაიდან ფული, რომელიც მათ ეძლევათ საცხოვრებლად თუ ყოფნით და მუშაობით გამოწვეულ ხარჯებს ვერ ფარავენ. ფულის მომატებით მათ მიეცემათ საშუალება მეტი შეისწავლონ მცირე დროში და მალე დაასრულონ იქ მუშაობის პერიოდი“.

ტექსტი ადაპტირებულია მოსწავლეებისთვის

წყარო: გაზეთი “ბარრიკადი”, 1920 წ. N2, გვ.2

ტექსტის ორიგინალი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ გაზეთების ფონდში. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/146882

ლექსიკონი:

დამფუძნებელი კრება - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო ორგანო[1].

უპასუხეთ კითხვებს და შემდეგ შექმენით ნამუშევარი.

1. მოცემულ ტექსტში რომელი ინფორმაცია იყო თქვენთვის ნაცნობი?

   ---

2. სტატიის წაკითხვის დროს რისი გაგება-გააზრება გაგიჭირდათ?

   ---

3. ტექსტის რომელი მონაკვეთი აღმოჩნდა თქვენთვის საინტერესო? რატომ?

   ---

[1] https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

---

4. მოცემული ტექსტის მიხედვით, როგორ დაახასიათებდით პარიზში სასწავლებლად წასულ ახალგაზრდა მხატვრებს?

---

5. მოცემულ ტექსტზე დაყრდნობით, თქვენი აზრით, როგორ და რა საქმიანობაში გამოიხატება ახალგაზრდა მხატვრების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ?

ინსტრუქცია ნამუშევრის შესაქმნელად:

გადახედე საშინაო და საკლასო დავალებებს. დაფიქრდი ისტორიულ-კულტურულ კონტექსტზე და ეცადე წარმოიდგინო ახალგაზრდა ქართველი მხატვრების ცხოვრება 1920-იანი წლების პარიზში. როგორ ფიქრობ, რა სურვილები და მიზნები ჰქონდათ? რა სირთულეები შეიძლებოდა შეხვედროდათ? ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა შეიძლება ყოფილიყო მათი სიხარულის მიზეზი? ამის შემდეგ მოიფიქრე ჟანრი, შეარჩიე ტექნიკა, მასალა და შენი ფანტაზიით შექმენი ნამუშევარი, რომელიც პარიზში მათ ყოფასა და/ან შემოქმედებით ცხოვრებას ასახავს. პრეზენტაციის დახმარებით, დააკვირდი ფოტოებზე ასახულ გარემოსა და ადამიანებს. ეცადე, ამოიცნო იმდროინდელი პარიზისთვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც შეგიძლია, სურვილისამებრ, ნამუშევარშიც ასახო. ნამუშევრის შექმნისას იფიქრე და იმუშავე თავისუფლად. გაითვალისწინე, რომ აქ არ არსებობს სწორი და არასწორი შინაარსი. მთავარია შენი იდეის, წარმოსახვისა და დამოკიდებულების წარმოჩენა.

ნამუშევრის შექმნისთვის განკუთვნილი არე